



№ 7 თბილისი აპრილი 1960

**საბჭო**

გამოსცემის XXXVIII წელი. ფასი 2 ჰან.

...სეზონი დაიწყო.


ნან. გ. ლომუაძე



(მიბაძვა ზოგიერთი ახალგაზრდა კომუნისტსაღმის)  
 აქაც, იქაც, შემდეგ სხვაგან  
 ნაზღვისპირებ-ნაპორტება,  
 დასიცხული იწვა ზღვა და  
 რამე-რუმეს აბოდებდა.  
 ნაზი სიო ხელებს ბრაზით  
 ზღვის უბეში აფათურებს.  
 პოდა მთვარე თემბჩაშლილი  
 ზის და ბღავის ახლა თურმე.

ემ. ქურდიანი

ჩახ. ზ. ლეჟავასი



ბიუროკრატიის პასუხი


— როგორი კავშირი გაქვთ კოლმეურ-  
 ნეობებთან?  
 — ახლა ვამყარებთ.

ამას წინათ ჩვენ  
 გამოვაქვეყნეთ  
 ამონაწერი იმ  
 შთაბეჭდილებე-  
 ბიდან, რომელიც  
 უცნობ ეურნა-  
 ლისტს საქართ-  
 ველოში მოგზაუ-

რობის დროს მიუღია და თავის  
 უბის წიგნაკში ჩაუწერია. ვაქვეყ-  
 ნებთ მეორე წერილს მისი ჩანა-  
 წერებიდან. როგორც ტექსტიდან  
 ირკვევა, ეურნალისტი ქუთაისიდან  
 სოხუმს სტუმრებია, იქიდან მატა-  
 რებლით თბილისისკენ გაუწეგია.  
 აი, როგორ აღწერს ის თავისი  
 მგზავრობის ამბავს: „№ 13 მატა-  
 რებლით მოსკოვი-თბილისი გავემ-  
 გზავრეთ თბილისისკენ. საინტე-  
 რესოა, რომ ჩემი ვაგონის ნომე-  
 რიც ცამეტია და ემთხვევა მატა-  
 რებლის ნომერს. გზაში ჩვენს  
 თვალწინ გადაიშალა თვალწარ-  
 მტაცი ბუნება. შავი ზღვის სანა-  
 პიროები, ყვირილისა და ძირუ-  
 ლის ზღაპრული ხეობა. გავიარეთ  
 ცნობილი წიფის გვირაბი. ყველა  
 აღტაცებაში მოიყვანა აღმოსავ-  
 ლეთ საქართველოს წარმტაცმა  
 ბუნებამ. მატარებელი მიჰქრის.  
 სადგურ ხაშურამდე სულ ორი თუ  
 სამი კილომეტრია დარჩენილი...  
 და, ამ დროს, გაისმა გამაყრუე-  
 ბელი ხმაური. ატყდა განგაში.  
 ხალხი წამოცვივდა. რა მოხდა?!  
 მატარებელს მეტეორის ნამსხვრე-  
 ვები თუ მოხვდა. მალე გამოირ-  
 კვა, რომ ვილაცამ ჩრდილოეთის  
 მხრიდან, ან უკეთ, მატარებლის  
 მოძრაობის მიმართულების მარ-  
 ცხენა მხრის ფერდობიდან ვა-  
 გონს ქვა ესროლა და ფანჯრის  
 სქელი მინები ჩაღწა. ჩვენი თა-  
 ნამგზავრი ქართველები, რომელ-  
 ნიც აქამდე თავისი ქვეყნის  
 ქება-დიდებათ გვაკვირვებდნენ,  
 ახლა უხერხულად იშშუშნებოდ-  
 ნენ და არ იცოდნენ რითი ემარ-  
 თლებინათ თავი. სალამოს ბინდ-  
 ბუნდში, ფერდობზე გამოჩნდა  
 გზა. იქვე ახ-  
 ლოს—თხემზე სა-  
 ხლებიც დაფინა-  
 ხეთ. ცხადია, ეს  
 მიდამო დასახლე-  
 ბული ყოფილა.

უხნობი ურნალისტის  
 ჩანაწერი ურნალისტი

ნაწილი მეორე




ეს მოხდა 1960 წლის თებერ-  
 ვლის 28-ს, სალამოს ექვს საათსა  
 და ... წუთზე“.


თბილისამდე მოგზაურობის ჩა-  
 ნაწერი აქ წყდება. როგორც ჩანს,  
 ეურნალისტი აღარ იყო წერის  
 ხასიათზე.

ჩვენ არ ვიცით, ვინ ესროლა  
 ქვა მატარებელს, თუმცა არც  
 ამის დადგენა იქნება ძნელი, თუ  
 საქმეს გამოცდილი ხელი ჩაეჭი-  
 დება, მაგრამ, ვინც არ უნდა ყო-  
 ფილიყო იგი, დიდი თუ პატარა,  
 გიყი თუ ჭკვიანი, ერთი რამე  
 უდავო და უეჭველია; მან ქვა ეს-  
 როლა არა მარტო მატარებელს,  
 არამედ ამით თავისი უკულტუ-  
 რობაც გამოამჟღავნა.

ნურგინ ნუ იფიქრებს, რომ  
 ეს ისეთი წვრილმანი და უმნიშ-  
 ვნელო ფაქტია, რომლის წინააღ-  
 მდეგ საჭირო არ იყოს სერიოზუ-  
 ლი ღონისძიების მიღება. ეს პირ-  
 ველი შემთხვევა როდია ჩვენს  
 გზებზე. რატომღაც, ლიხიდან მო-  
 ყოლებული თბილისამდე გზის  
 ზოგიერთ მონაკვეთზე არცთუ  
 იშვიათია ასეთი შემთხვევები. იმე-  
 დი უნდა ვიქონიოთ, რომ ხაშუ-  
 რის რაიონისა და მისი მეზობე-  
 ლი რაიონების ხელმძღვანელები  
 მიიღებენ სათანადო ზომებს, რომ  
 ასეთი სამარცხვინო შემთხვევები  
 აღარ განმეორდეს.

აკაკი ბელიაშვილი






ეს ავტობუსი საბინაო სამმართველოს ხომ არ ეკუთვნის?

# სეპარატიზმი

კავკასიის-ში ქვასროლიაშვილი



წარმოიდგინეთ ოთახი, სადაც მაგი-  
დას უზის მკაცრი გამოცდელი და შე-  
მოდის აბითურიენტი, რომელსაც საგა-  
მოცდო ფურცელზე უწერია: —ნაპოლეონ  
ჰამლეტის-ძე ქვასროლიაშვილი.

მოდი და ნუ გაუწევ ანგარიშს!  
რასაკვირველია, კარგად შერჩეულ სა-  
ხელებს აქვთ ემოციური ძალა, მაგრამ  
ეს ცალკე თემაა და გულისხმიერ დამუ-  
შავებას შოითხოვს.

საკითხის დასაბუთებისათვის შეიძლე-  
ბა ესტუმროთ თბილისის უმაღლეს სას-  
წავლებლებს. ამჯერად შეგჩერდეთ პო-  
ლიტიკური ინსტიტუტზე.

აქ შეხვდებით ისეთ სახელებს, რომ  
თქვენს გაკვირვებას საზღვარი არ ექ-  
ნება.

არა გჯერათ?  
აი, ილუსტრაცია — ქიმიისა და კვე-  
ზის ტექნოლოგიის ფაკულტეტის 492-ე  
ჯგუფის სია: ჭარაკაშვილი ელადა, ყარ-  
ყარაშვილი მენზერა, გოქაძე როლანდი,  
დარსალია ჯუნგლი. ახლა თვალი გადა-  
ვავლოთ ამავე ფაკულტეტის სხვა ჯგუ-  
ფებს: ძველაია აიდა, ლოლაძე დიასი,  
რუხაძე აირა, გიგილაშვილი კროლიკა.  
სამთო ფაკულტეტზე: ლელაშვილი  
თეირანი, ჭოლოშვილი ილდიზი, ხუნდაძე

ალვერი, ხუციშვილი ჰექტორი, ომიადე  
დაზმირა, დონაძე ლიუმარი, ბოჭორი-  
შვილი აელიტა, ბაკლიშვილი მიჩარდი,  
ჩააგა მოველი, წურ-  
წუმია დელმაგი, ბუცხრიკიძე გარბერტი,  
გავაშელი ხოზე, შოშიაშვილი დემნადია.  
მეტალურგიის ფაკულტეტზე: ბუილლიშ-  
ვილი ბიატრისა, ზენაიშვილი ვერტერი,  
ტყემალაძე ველგიზი, ჩხიკვაძე ლოპა.  
ენერგეტიკის, ავტომატიკისა და მსუბუ-  
ქი მრეწველობის ფაკულტეტებზე კი  
სწავლობენ: ჭუმბურიძე ლეოპოლდი, ხა-  
ზარაძე ცეზარი, გველესიანი ზუმრუდა,  
ეგვენძე მინერი, ხაინდრავა გოვენი,  
ცაგვა ლონდერი, შარიქაძე აიგენგო,  
კილაძე გულქორი.

გადავხედოთ საღამოს სწავლების ფა-  
კულტეტსაც. აი, მათი სიაც: ამირანაშ-  
ვილი ცილარდი, ილურიძე კულჯუზნი,  
ლებანიძე ალორინა, ჩუტკერაშვილი მორ-  
თულა, კორინთელი ნარნელი, ინჭკირვე-  
ლი დიოგენი, ლომთაძე ზელმა, ვეზირი-  
შვილი ტოკი, შეროზია ლევტერი, ყი-

ფიანი ბაგუნა, მიქაძე ლიუდიკი, ქავთა-  
რაძე ნიცა, ლაცაბიძე ოყნეშანი, სალუქ-  
ვაძე დიადი.

მოდით, ჯერჯერობით ნულარ გადავ-  
ხედავთ უნივერსიტეტისა და სამედიცინო  
ინსტიტუტის სტუდენტთა სიებს, თორემ  
სახელების ბრწყინვალე ფეიერვერკს ისი-  
ნი დააკვირვებდნენ. მათ ახლო მო-  
მავალში ვეწვიოთ.

ამხანაგო მშობლებო, კარგად გაითვა-  
ლისწინეთ შემდეგი:

1. დაარქვით შვილებს რაც შეიძლება უცნაური სახელები. ეს უფრო გამოად-  
გებათ მომავალში.
2. სახელები შეარჩიეთ ცხოვრების  
წინსვლის შესაბამისად, მაგალითად: «რა-  
კეტა», «საპუტნიკა», «კოსმოსა», «კიბერ-  
ნეტიკა», «ლინოტიპი», «ლედოკოლი».
3. ვინც ვერ დაკმაყოფილდეს შეთავა-  
ზებული სახელებით, კონსულტაციისათ-  
ვის მობრძანდეს რედაქციაში.

დიდოს კატარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოთაშვილი

ამას წინათ მინა მივიდო საბურთალოზე. რა თქმა უნდა, ბაღიან გამიხსარდა. თქაცის დამინაგუნის შემდეგ ამხანაგებში გამთიარეს და წაყვით რუსეთთანში, რათა აღმინიშნა ეს ღირსესანიშნაო დღე. (მინაში ვერ შევადრე, თათხი გასართობნიველი იმდ). შუგუდით რუს-  
ცოტანში. „დასუღუღმა“ დიდხანს გასცანა. გვიან დავიშალეთ. წამოვედი სახლში. ჰსალი მინა მიცრიალუბდა თაჟში. მივდივარ და თან ვლიდინებ. გამოჩნდა ნაცნობი ძეგა, ნაცნობი სახლში. კიდევ ცოცა და ჩვენი სახლიც გა-  
მოჩნდებო. დადანიტ აჭრმივარ ვიბრებო, შე-  
დივარ ებში და...  
— ვაი, დაღუპულ თაჯატ! — ვიღრიალე. მუცი აბადური მასსთეს. ჩვენი სახლი მი-  
წასთან გასწორებულყდა. გამოჩნდებოლი აგუ-  
რები გრთვად ყვარა. გონს ტომ მოვედი და თაჯალი გაჯახილე, თაჯო შუასნის კაცი მედ-  
გა წყლიანი ჩურჩლით ხელში.  
— ცოლი... შავშვიდი... — ამთავაჯესე მე.  
— რა გაღრიალუმს, შე ვაი კაცო, გზა გაგვყავს.  
აბრი მოვებრადე. მეულ სახლში მივსე-  
ლიყავ.

6. ბეშიტაშვილი



შეხედველ და ჩაფიქრდები. როგორ იქნება არ გაცთუნოს მისმა გარეგნობამ. მაღალი, მხარბეჭიანი, ახალგაზრდა, ზომავზე ფართო პალტო თითქმის მიწამდე წმდება, მაღალი ფაფახი ახურავს...

თუ ვინცობაა შემოგხვდეთ ასეთი ტიპი, არ შეცდეთ და არ გეგონოთ, რომ მწერალია იგი, ან კორესპონდენტი, თუმცა, მას რომ ჰკითხოთ, უთუოდ თავს მწერლად და ჟურნალისტად მოგასაღებთ.

- გინა იგი?
- უმაღლესი თანრიგის თითლიბაში, თაღლითი, ქურდი, გაიძვერა.
- რას ეძახიან მას: ხოტმიკოლლუს, ალი გაშიმოვს, ალი აღდაშლის და ა. შ.
- აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა «გასტროლებზე» მშობლიური რესპუბლიკიდან გამოქცეული. ფარდულის გამყიდველად მუშაობდა, მერე დიდი თანხა გაფლან-

გა, ჩაიდინა არა ერთი და ორი ოინბაზობა და მოაშურა საქართველოს, ესაო და მიაშიტი ხალხია, სტუმართმოყვარე, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარული და მეც კარებს გამიღებენო.

აღლომ არ უმტყუნა მიიღეს კიდეც და მერე როგორ! პირველსავე დღეს ერთ-ერთი საყვარელი ქართველი პოეტის იუბილეზე პრეზიდენტში აღმოჩნდა მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრად. ამას როდი დასჯერდა იგი, იუბილარს 500 მანეთი გამოართვა, მეორე მწერალს 300 მანეთი და ჰაიდა, მოუსვა.

ახლა სხვა წარმოების ხელმძღვანელს მიადგა, ფული გამოართვა, მასპინძლობა გააწვეინა, ხატულ-ხატულა სიტყვებით უთხრა «ლიტერატურული» სადღეგრძელოები. მერე ბოლნისში ჩავიდა, იქაურ პროკურორს ახლო ნაცნობად მიახალა თავი, სვა, ჭაჭა, დრო ატარა.

ახლა ერთ საკმაოდ ცნობილ რომანისტს მიადგა ჩვენი ფიგარო, თავი მოუქონა, ბინაში ჩაუსახლდა, თავისი «ნაწარმოებების» თარგმნა დააწყებინა, ლიტერატურულ სარბიელზე გამოსასვლელად შეუდგა კოლმეურნობათა თავმჯდომარეების, მეურნეობათა დირექტორების და სხვადასხვა თანამდებობისა და პროფესიის ადამიანების შესწავლას;

ახლა ფიგარომ სტალინირი აირჩია სარბიელად. მიაშიტი ადამიანები იქაც ბლომადა და, რაღა მწერალი ვარ, თუ ჩემი მოღვაწეობით იქაც არ გავითქვი სახელიო.

ჰოდა იცის ხოტმიკოლლუმ, იგივე ალი გაშიმოვმა, ამ თითლიბაში და ქურდმა, რომ სტალინირშიც მოიპოვებს წარმატებას.

ფრთხილად, ადამიანებო! ნუ ატყუებინებთ თავს, ყველაფერი ოქრო როდია, რაც ყვითელია.

მ. შურადოვი.

ნ.ბ. დონისა



— ვთხოვთ ახალ ბინაში გადასახდებით, მეზობელი მოხვედრებს არ მაძლევს.

— დაწყნარდით, ქალბატონო, ეს ხაკითხი უკვე მოგვარებულია, თქვენი მეზობელი გადაგყავს ახალ ბინაში.



## ბრძენკაცას უილოსოიარი დასკვნები

ბრძენკაცასთან მივიდა კაცი.  
— რა ვენა, მირჩიე, ბატონო ბრძენკაცო, ჩემი ვაჟი ფეხბურთსაა გადაყოლილი და აღარ სწავლობს.  
— ახლა შენ გინდა გადმოაყოლო?—ბრძნულად იკითხა ბრძენკაცამ.  
— დიას, ბატონო.  
— ფეხბურთს კარგად თამაშობს?  
— კარგად.  
— ჰო... ჭკუა ფეხებში წასვლია!.. თავდაღმა დაკიდე და ყველაფერი რიგზე იქნება.—ურჩია ბრძენკაცამ.


— ბრძენკაცავ, რა ვენა? იმ კრიტიკოსს ვერ აფუტანივარ, ვეჯავრები! რასაც ვწერ, არ მოსწონს! ცულ რეცენზიებს მიწერს.—იჩივლა დრამატურგმა.


— ის თუ ვერ გიტანს, შენ აიტანე. მას თუ ეჯავრები, შენ შეიყვარე. მის ჯიბრზე პიესები არ დაწერო და ვეღარც ცულ რეცენზიებს დაგიწერსო.

— ეს მსახიობი ამ ბოლო დროს გამოსწორდა. თუმცა დისციპლინის დარღვევის რეციდივები მაინც აქვს.—უთხრა რეჟისორმა ბრძენკაცას.

— რა ქნას, სულ უღისციბლინო კაცის როლს თამაშობს და თქვენ გინდათ ასე მალე გამოსწორდეს?—ბრძნული ღიმილით ჰკითხა ბრძენკაცამ.

ბ.ბ. ბოლო





უტექსტო ხუმრობა

ა. ერადისა

**ბ. ბაზინჯალიანი „ბელნიაკი“ წყვილი**

მინასი სამოცი წლის იყო, როდესაც მეორედ დაქორწინება გადასწყვიტა. რასაკვირველია, მან აირჩია, როგორც „მიღებულია“ მის ასაკში, ლამაზი და ახალგაზრდა ქალი, ასე 23-24 წლისა.

მოხუცი მინასი ყოველ დღე იღებავდა სქელ უღვაშებსა და თავზე შერჩენილ რამდენიმე ღერ თმას. იგი ცდილობდა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდად მოეჩვენებინა თავი და ზოგჯერ სიმღერასა და ცეკვაზეც არ ამბობდა უარს. ხშირად გაიძახოდა, რომ ის არაფერში ჩამოუვარდება ახალგაზრდებს. „გაგიყვებით“ უყვარდა ცოლი და საშინლად ეჭვიანობდა, როგორც მოხუცებს ჩვევიათ.

გავიდა რამდენიმე თვე ქორწინებიდან. ახალგაზრდა ცოლმა განუსაზღვრელი უფლებები მოიპოვა: თითქმის ყველა საღამო, შაბათი და კვირაც მას ეკუთვნოდა. თავის ოთახში არავის ღებულობდა, მხოლოდ სადილობისას გამოდიოდა იქიდან და მაშინ ელაპარაკებოდა შინაურებს. სასადილო ოთახში მეუღლის პირდაპირ ჯდებოდა მაგიდასთან.

ხშირად ჩაიკეტებოდა საწოლ ოთახში და, თუ მას დაუფუჯრებთ, წიგნების კითხვით იყო გართული. ერთი სიტყვით, არავის არ ჰქონდა მისი შეწუხების უფლება, არც დღისით არც ღამით.

ერთხელ მინასმა გაუფრთხილებლად დაუთქაუნა კარი; ცოლმა ერთი დღე დაათია. ყველამ კარ-

გად იცის, თუ როგორ ეშინიათ მოხუცებს ახალგაზრდა ცოლების საყვედურებისა.

— შენ მხოლოდ უფლება გაქვს ჩემს ოთახში გასაღების ჭრილიდან შემოიხედო!—დატუქსა ცოლმა.

და აი ერთხელ მოხდა მოულოდნელი ამბავი... შაბათ ღამეს, 3 საათზე, სამზარეულოს მხრიდან ცეცხლი გაჩნდა. სახლში აურზაური ატყდა. ქუჩაში გამოცვივდნენ. შეშინებული მინასი ცოლის საძინებელი ოთახის კარებს მივარდა, და მაგრად დააბრაუნა. პასუხი არავინ გასცა. მინასმა გასაღების ჭრილიდან შეიხედა და დაინახა, რომ საბანში გახვეულ ცოლს წყნარად ეძინა.

— ხანძარია! ვიწვიო, ჩემო კარგო!—სასოწარკვეთილი ხმით ყვიროდა მინასა.

მას შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, ფეხები მოუღუნდა და პირში ნერწყვი გაუშრა—„იქნებ ოთახში კვამლი შევარდა და დააზრჩო“?

გამოუვალი მდგომარეობის გამო მინასი იძულებული გახდა მეზობლებისათვის დაეძახნა და კარები შეემტვრია. ახლა ეჭვი აღარ იყო, რომ მინასის სათაყვანებელი ცოლი ცოცხლებში აღარ ერია. იგი გიჟივით მივარდა ლოგინს, საბანი ასწია და სახტად დარჩა... იქ ცოლის ცხედრის ნაცვლად მუთაქა ესვენა.

სომხურიდან თარგმნა  
აღ. ძამოევმა



ყველა დაგვერწმუნება, რომ ქალაქს სილამაზესა და შნოს კარგი შენობები მატებს, მით უმეტეს, თუ მისი ფასადი მიმზიდველადაა გაფორმებული, ამაში ალბათ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სარემონტო კანტორის მუშაკებიც დაგვეთანხმებიან, რადგან


სწორედ მათი ინიციატივით ამ ორი წლის წინათ გადაწყდა შეეღობაზებინათ ჩვენს დედაქალაქში ისეთი პოპულარული შენობა, როგორც თერთმეტსართულიანი სახლია.

ზემოხსენებულმა მუშაკებმა, სხვა დეფექტებთან ერთად აღნიშნეს, რომ ბინა № 41-ის აივანი ავარიულ მდგომარეობაშია და დაადგინეს, სასწრაფოდ შეერემონტებინათ—დაშალეს კოლონადა და მოაჯირი, რაც იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ შეკეთების საქმეს სათავეში ენერგიული აღამიანები ჩაუდგნენ. ამის შემდეგ აკაცები სამჯერ აყვავილდა, მაგრამ... მაგრამ აივანი ისევ და ისევ შეუკეთებელია, თუმცა იმედი მაინც არსებობს, რადგან კანტორის ინჟინრები დონდუა და მესროპოვი მესამე წელია რაც ამტკიცებენ, მალე შევაკეთებთო. საოცარია, ორი წელი გიმტკიცოს კაცმა და მაინც არ დაიჯერო.

აი, კიდევ რამდენჯერმე აყვავილდება აკაცია და აივანი სულ დაინგრევა, არც მასალა დასჭირდება და არც შრომა, ვითომ რა, უაივნო ფასადი რითაა ცუდი?

თქვენ რაღას იტყვით, სარემონტო კანტორის მუშაკებო?

დაზარალებული



რედაქტორი **ნ. შველიძე**. სარედაქციო კოლეგია: **აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.** საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нiangи“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—8-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49.

გამომც. № 7. ხელმოწ. დასაბ. 28/III-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნსტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 445 უფ. 00579. ტირ. 40.000

სასურსათო მანქანების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში  
თითქმის რვა წელიწადია წარმოებს მუშაობა ბოთლსარეცხი მანქანის  
შესაქმნელად, მაგრამ მისი საცდელი ნიმუში ჯერ კიდევ არ შეუფერება  
საჭირო ტექნიკურ პირობებს.



ნა. კანდელაკისა

— რვა წელიწადია გვპირობებენ მანქანით დაგვანო და და-  
რეცხავთო, ამდენ ხანს რომ პირი არ დაგვებანა, კაციშვილი ვე-  
ღარ გვიცნობდა!